# სამსახურში სექსუალური შევიწროება დაუშვებელია!

# არ შეურიგდე მას!

## რა არის სექსუალური შევიწროება?

ნებისმიერი ფორმის არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს **პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამამცირებელი, მტრული ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.**

### ფიზიკური:

- ფიზიკური ძალადობა
- შეხება
- არასასურველი სხეულებრივი სიახლოვე
- სამსახურთან დაკავშირებული მუქარა ან წახალისება სექსუალური ხასიათის თხოვნის შესრულების სანაცვლოდ

### სიტყვიერი:

- კომენტარები და კითხვები გარეგნობის, ჩაცმულობის, ცხოვრების სტილის შესახებ
- შემაწუხებელი სატელეფონო ზარები და გზავნილები
- სექსუალური ხასიათის ხუმრობები და ისტორიები
- პაემნებზე დაპატიჟება

### არასიტყვიერი:

- სტვენა
- სექსუალური შინაარსის ჟესტები/მინიშნებები
- სექსუალური შინაარსის მასალის გამოფენა



**ევროპის კავშირის ქვეყნებში** თითქმის ყოველი მე-**2** ქალი გამხდარა სექსუალური შევიწროების მსხვერპლი სამუშაო ადგილას

**მათგან მხოლოდ 1/4 მიმართავს დახმარებას**



**სექსუალურ შევიწროებას** შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს და გამოიწვიოს სერიოზული პრობლემები



**ფსიქოლოგიური**

**სისუსტე, საკუთარი თავის დადანაშაულება, ბრაზი, ინსომნია, დაძაბულობა, სტრესი, დეპრესია**

**ბიოლოგიური**

**თავისა და ზურგის ტკივილი, გულისრევა, მაღალი წნევა, წონის პრობლემები და ა.შ.**

## როგორ მოვიქცეთ სამსახურში **სექსუალური შევიწროების** შემთხვევაში?

- **არ დაადანაშაულოთ საკუთარი თავი!**
- **დააფიქსირეთ თქვენი პოზიცია მკაფიოდ, თქვით "არა"**
- **არ დაიხიოთ უკან სხვების რეაქციის გამო**
- **დააფასეთ საკუთარი თავი!**

### იმოქმედეთ!

- ამოიღეთ ხმა, ისაუბრეთ პრობლემაზე
- შეინახეთ შემთხვევის დამადასტურებელი მტკიცებულება
- მოახდინეთ საკუთარი საქმიანობის დოკუმენტირება; აირიდეთ თავიდან კანონის ან რეგულაციის დარღვევა
- გამოიყენეთ ორგანიზაციის შიდა სტრუქტურები საჩივრის დასაწერად

### მიმართეთ:

- უფლებათა დამცველ ორგანიზაციებს
- პოლიციას
- სასამართლოს

## განაცხადეთ

თუ თქვენ შეიტყვეთ ან გახდით არასასურველი ქცევის მსხვერპლი სამუშაო ადგილზე, **დაგვიკავშირდით**:

**(+995 32) 72 88 56**
**www.tanastsoroba.ge**



USAID FROM THE AMERICAN PEOPLE | JumpStartGe | ვიმუშაოთ თანასწორ გარემოში